ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 8-12/14069545-16 31 03 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევიო, ქუჩა ქსანი, ქუჩა №14ა-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენებით)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №685365 13.05.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევიო, ქუჩა ქსანი, ქუჩა №14ა-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-10“ ფასადი: +1.65 ნიშნულზე, „7-8“ მონაკვეთში, მინაბლოკის ღიობში მოწყობილია გამწოვი მილი. „6-6“ ღერძთან კარის თავზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობი(გამწოვი მილისთვის). „10-11“ მონაკვეთში ფასადი მოსაპირკეთებელია. ფასადზე დამატებით მოწყობილია გამწოვი და წყალშემკრები მილები. „1-11“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდენციონერები. „1-6“ მონაკვეთში ფასადზე არ არის ნაჩვენები ფანჯრების თავზე მოწყობილი ლითონის კონსტრუქციული ელემენტები. „4-5“ მონაკვეთში +1.65 ნიშნულზე კოლონა გამოწეული კედლის სიბრტყიდან.

„მ-ბ“ ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები. „მ-მ“ ღერძის გარეთ შეცვლილია კარის ნახატი, კარის თავზე შემცირებულია გადახურვა სიმაღლეში დაახლოებით 1 მ-ით, ასევე შეცვლილია ჭიშკრის თავზე გადახურვის ფორმა. „მ-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია ალუკობონდით მოპირკეთების ნახატი. „დ-ბ“ მონაკვეთში მოსაპირკეთებელია კიბის ერთი საფეხური. ±0.00 ნიშნულზე, „მ-კ“ მონაკვეთში ფანჯარაზე დამატებით მოწყობილია ჟალუზი. „მ-კ“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე, ვიტრაჟებზე დამატებით მოწყობილია გისოსები. „დ-ბ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ჟალუზი. ჭიშკრის გვერდებზე დამატებით შესრულებულია ქვით მოპირკეთება. +4.40 ნიშნულზე, „მ-კ“ მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟი სიგანეში 0.5 მ-ით, ხოლო სიმაღლეში 0.3 მ-ით.

„10-1“ ფასადი: +4.40 ნიშნულზე, „6-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი კონდენციონერი, ასევე ფასადზე მოწყობილია წყალშემკრები და გამწოვი მილები. „10-6“ მონაკვეთში ფასადზე შეცვლილია რენდერზე ნაჩვენები ღებვის ფერი. „8-6“ მონაკვეთში +4.40 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. ფასადზე დამატებით მოწყობილია ხის დეკორატიული ელემენტები. „6-1“ მონაკვეთში +4.30 ნიშნულზე შეცვლილია ორი ფანჯრის ფორმა.

„ა-მ“ ფასადი: „ა-მ“ მონაკვეთში გადახურვებს შორის დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცელი. +2.10 ნიშნულზე, „თ-მ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთება.

„ა-ნ“ ფასადი მოსაპირკეთებელია. „ა-ე“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი.

I სართულზე: „ლ-ნ“ მონაკვეთში საპროექტო კედელსა და არსებულ კედელს შორის მანძილი შემცირებულია დაახლოებით 0.5 მ-ით.

±0.00 ნიშნულზე „4-4“ ღერძთან „დ-კ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის საფეხური. „მ-მ“ ღერძზე, „5-1“ მონაკვეთში კედელში დამატებით მოწყობილია ორი ღიობი. „1-1“ ღერძზე „მ-მ“ ღერძის გარეთ შემცირებულია ჭიშკრის სიგანე 0.6 მ-ით. ±0.00 ნიშნულზე „ბ-ბ“ ღერძზე „1-1“ ღერძის გარეთ გაზრდილია კედლის სიგანე 0.2 მ-ით.

სახურავზე „თ-ნ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. „1-10“ მონაკვეთში სახურავზე დამატებით მოწყობილია თუნუქის გამწოვი მილები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „როკა”-ს, ვალერი ქარდავას ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევიო, ქუჩა ქსანი, ქუჩა №14ა-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენებით)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14069545-16 10.03.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე გ. შუკირიშვილი